შპს ოპტიმალ გრუპ +
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო
თბილისი 0179,ჭავჭავაძის 17ა.
ტელ.: +(995 32) 2 24 00 20
ელ.ფოსტა: info@ogplus.com.ge

LLC OPTIMAL GROUP +
A-type Inspection Body
17a Chavchavadze Ave,
Tbilisi 0179, Georgia
Tel.: +(995 32) 2 24 00 20
e-mail: info@ogplus.com.ge

ს/კ ID 404 911 592

ს.ა.ა GAC
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC –IB-0117

05 სექტემბერი 2017 წელი

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში №IR_17-04-A013/02

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტებული ISO/IEC 17020:2012/2013, მ/ნ GAC-IB-0117.

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელია ინსპექტირების/ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ინსპექტირების/ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო/საინსპექტირებო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლის სამართლებლივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

აკრედიტაციის სფერო:
სამშენებლო ობიექტის პროექტის ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება:
- არქიტექტურული ნაწილი.

ინსპექტირების (ექსპერტიზის)ობიექტი:
შპს გამომცემლობა კოლორის სასაწყობე შენობის პროექტი, მისამართი: კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი N20.

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარების საფუძველი:
განაცხადი ინსპექტირების ჩატარებაზე: № **17-04-A013**; 24.04.2017; ხელშეკრულება: **№ C-17-04-A013**;

დამკვეთი:
შპს „გამომცემლობა კოლორი“, (ს/კ 208149859), დირექტორი **გიორგი ჟორჟოლიანი** (პ/ნ:01022014472);

ინსპექტირების (ექსპერტიზის) შემსრულებელი:
ინსპექტირების ტექნიკური მენეჯერი - **ალექსანდრე ველიჯანაშვილი**, არქიტექტორი, სპეციალობით მუშაობის სტაჟი - 23 წელი;

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარებაზე განაცხადის შინაარსი:
კახეთის გზატკეცილზე რკინიგზის ჩიხი N20-ში შპს გამომცემლობა კოლორის სასაწყობე შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41) ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის საფუძველზე.

ინსპექტირების დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტები:
კორექტირებული პროექტის (03.09.2017) ელ.ვერსია;

ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი: 31.08.2017 – 04.09.2017

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში

დ ა ს კ ვ ნ ა

შპს „გამომცემლობა კოლორი“, (ს/კ 208149859), დირექტორი გიორგი ჟორჟოლიანი, განაცხადი №17-04-A013, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოწოდებული მასალების საფუძველზე, კახეთის გზატკეცილზე რკინიგზის ჩიხი N20-ში შპს გამომცემლობა კოლორის სასაწყობე შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის ინსპექტირების შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ ინსპექტირების პროცესში გამოვლინდა რიგი ხარვეზები, რომლებიც შემსრულებლის მიერ დაკორექტირდა და ტექდოკუმენტაციაში შეტანილია შესაბამისი შესწორებები.

შესაბამისად, ხელახლა წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

იხ. გამოკვლევითი ნაწილი;

იხ. დანართი №1 DVD-R დისკზე.

გამოკვლევა

წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, დამკვეთის მიერ მოთხოვნილია კახეთის გზატკეცილზე რკინიგზის ჩიხი N20-ში შპს გამომცემლობა კოლორის სასაწყობე შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, რომელიც მოიცავს:

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

კახეთის გზატკეცილზე რკინიგზის ჩიხი N20-ში შპს "გამომცემლობა კოლორი"-ს სასაწყობე შენობის პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ჩაუტარდა ინსპექტირება.

პროექტის მიხედვით საპროექტო ნაგებობა მდებარეობს კახეთის გზათკეცილზე, რკინიგზის ჩიხი N20-ში, შ.პ.ს. გამომცემლობა ,,კოლორის" კუთვნილ ნაკვეთზე. ნაკვეთი მიეკუთვნება საწარმოო ზონას, მისი ფართობი შეადგენს 5557 მ2.

ტერიტორიას აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით ესაზღვრება საავტომობილო მოასფალტებული გზა, სიგანით 6-8 მ, ხოლო ჩრდილოეთიდან გრუნტის გზა 4.5-5.9 მ და შემდეგ რკინიგზის მიწაყრილი. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის გზების განშტოებაზე მდებარეობს მთავარი შესასვლელი, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან ნაკვეთს აქვს კიდევ 2 შესასვლელი ლითონის ჭიშკარი.

ტერიტორიაზე განლაგებულია რამდენიმე ნაგებობა: საწარმოო, საოფისე და სასაწყობო შენობებს შორის ტერიტორია გამოყენებულია როგორც საერთო ეზო, რომელშიც სამივე ჭიშკრიდან შეუფერხებლად შეიძლება მოხვედრა. ამ ეზოს მხრიდან ხდება არსებული საწყობების დატვირთვაც.

ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში განთავსებულია სასაწყობო ნაგებობა, რომლის ძირითადი დასასაწყობებელი პროდუქცია კლასიფიცირდება როგორც სწ-1 ჯგუფის დაკავებულობა (წიგნები და ქაღალდის რულონები ან შეკვრები). ამ შენობაზე ხდება საპროექტო სასაწყობო შენობის მიშენება.

ასაშენებელი საწყობის ტერიტორია მდებარეობს არსებული საწყობის ა-ე გრძივი ღერძების გაგრძელებაზე, რამაც განაპირობა სიგანეში იმავე გაბარიტების - 20.3 მ და გრძივი მიმართულებით 16.6 მ მაქსიმალური სიმაღლით 7.46 მ შენობის დაპროექტება. პროექტის მიხედით საპროექტო შენობა გადაწყვეტილია არსებული საწყობის მსგავსი მასალებითა და კონსტრუქციული ელემენტებით, რაც მთლიან შენობას (ძველის და ახლის ჩათვლით) არქიტექტურულად ერთი ნაგებობის იერს აძლევს. ფუნქციურად კი ეს ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საწყობია, შუაში ორმაგი კედლით გაყოფილი (ერთი არსებული ლითონის სენდვიჩის და მეორე მოსაწყობი-3სთ-იანი ხანძარმედეგობის კედლით) ისე რომ ასაშენებელი საწყობი იზოლირებულია და არ ზრდის არსებული საწყობის დაკავებულობის დონეს. არსებულ საწყობს ეზოს მხრიდან

აქვს ორი შესასვლელი. საპროექტო საწყობში შესვლა და მომსახურება ქუჩიდან (ჩრდილოეთის მხრიდან) ხდება.

პროეტის მიხედვით ქუჩის ნიშნული +1.05 მ-ით მაღლაა საწყობის იატაკის ნიშნულიდან. ამ მხრიდან გათვალისწინებულია საწყობს გაუკეთდეს ბეტონის საყრდენი კედელი, რომელიც +2,50 მ-მდე ამაღლდება, ხოლო შემდეგ ლითონის გოფრირებული საკედლე სენდვიჩპანელით გაგრძელდება სახურავამდე. როგორც პროექტშია მოცემული შიდა მხრიდან ეწყობა ხანძარმედეგი კედელი ხანძარმედეგობის ხარისხის მისაღწევად. საწყობის მომსახურებისათვის ეწყობა ლითონის ჭიშკარი, მასში ჩამონტაჟებული ლითონის კარით. პროექტში გათვალისწინებულია ბაქანი და კიბე საწყობში მომსახურე 4-7 პერსონალისათვის.

არსებული საწყობის შენობიდან გამოყვანის მიზნით არსებული საწყობის კედელთან პროექტში გათვალისწინებულია დამატებითი 3 სთ-იანი ცეცხლმედეგობის გამმოყვანი კედელი. დანარჩენი კედლები მოეწყობა 2 სთ-იანი ხანძარმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფით.

საწყობში სველი წერტილები არ ეწყობა, მომსახურე პერსონალი ისარგებლებს ეზოში მდებარე WC-ს შენობით, რომელიც საწყობის კარიდან დაშორებულია 75 მ-ით. წყლის სამომსახურეო ნიჟარა საწყობის კარიდან დაშორებულია 14 მ-ით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საპროექტო შენობა არსებული შენობის მიშენებას წარმოადგენს და კონსტრუქციულად იმავე სქემითაა გაგრძელებული. კონსტრუქცია მთლიანად ლითონშია გადაწყვეტილი: კოლონები წარმოადგენს ლითონის N40-იან ორტესებრს, რომელზეც გადახურვის 20 მ-იანი სიგრძის N60-იანი კოჭებია განლაგებული. კედლები არის ლითონის სენდვიჩპანელის, საძირკველი წერტილოვანია, არსებული საძირკვლების ანალოგიური და ჩაღრმავება შესრულებულია 1.4-ზე. ხოლო იატაკი წარმოადგენს 20 სმ სისქის ორმაგი არმირების ბეტონის ფილას.

1. შენობაში გათვალისწინებულია 1 ტიპის დაკავებულობა, სასაწყობო ჯგუფი სწ-1.

ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები დაკორექტირდა შემსრულებლის მიერ და ტექდოკუმენტაციაში შეტანილია შესაბამისი შესწორებები. **წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტში საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად:**

ა) დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვები გამოანგარიშებულია და შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

ბ) კონსტრუქციის ტიპები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

გ) სიმაღლეების და ფართობების სიდიდეები შეესაბამება მოთხოვნებს;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობება გამოანგარიშებულია და შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

ვ) მისაწვდომობა დაგეგმარებულია და შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია და შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

თ) სახურავის ანაწყობები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

ი) ცეცხლმედეგობის გამმიჯნავები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების ანგარიშები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად;

დასკვნას თან ერთვის კორექტირებული პროექტი DVD-R დისკზე (იხ. დანართი №1).

შესაბამისად, წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

კვლევაში გამოყენებული მასალები და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28);
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №57 (2009.03.24), №63 (2017.02.06) და №104 (2017.02.23);

ტექნიკური მენეჯერი
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი
არქიტექტორი ალექსანდრე ველიჯანაშვილი